ქუთაისის
უნივერსიტეტი

დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020
წლის 12 ნოემბრის №5 დადგენილებით
სხდომის ოქმი №7

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მისი განხორციელება-შეფასების მექანიზმები

2020 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები: არსი, მიზანი და მექანიზმები. 4

მუხლი 3. ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები 9

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტი'' არის საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება იმერეთის რეგიონში, რომელიც დედაქალაქს გარეთ აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.

1.2. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი" თავის საქმიანობას წარმართავს ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტების გამოყენებით *(კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა; უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები; კვალიფიკაციის ჩარჩო; დიპლომის დანართი),* რაც საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მისი ინტეგრაციის ფუნდამენტს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

1.3. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ეხმიანება უნივერსიტეტის ხედვას, მისიას, და საერთო საუნივერსიტეტო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. არსებითად, ის სწავლა-სწავლების პროცესისთვის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ექსტრაკურიკულური აქტივობებისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას გულისხმობს.

1.4. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი" ინტერნაციონალიზაციას განიხილავს, როგორც უწყვეტ და გამჭოლ პროცესს, რაც გულისხმობს, რომ ინტერნაციონალიზაციის აქტივობები მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში და მათ დაგეგმვა-წარმართვაში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის გარდა ჩართულია მრავალი აქტორი უნივერსიტეტს შიგნით თუ გარეთ, მრავალფეროვანია ბენეფიციარების შემადგენლობაც, ინტერნაციონალიზაციის შედეგები კი გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროში.

1.5. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტისთვის" ინტერნაციონალიზაცია არის საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტი უკავშირდება ევროპულ და ამერიკულ

საგანამანათლებლო-სამეცნიერო სისტემას, ზრდის კურსდამთავრებულთა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს მათ პროფესიულ წარმატებას, აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას.

მუხლი 2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები: არსი, მიზანი და მექანიზმები.

I. სწავლა-სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაცია

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სწავლა-სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს მისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას, სხვადასხვა ქვეყნის საუნივერსიტეტო საზოგადოებებს შორის ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, საეთაშორისო საგანმანათლებლო სისტემასთან ინტეგრირებას. აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტს“ ადგილობრივ საგანმანათლებლო პროგრამებში მოახდინოს მსოფლიო მასშტაბით აკუმულირებული ახალი ცოდნისა და ინოვაციური მეთოდების ინკორპირირება, რაც საბოლოოდ ემსახურება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი განათლების გაცემის მიზანს.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სწავლა-სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება შემდეგი მექანიზმების მეშვეობით:

- ✓ ფიზიკური საერთაშორისო აკადემიური მობილობა, რაც გულისხმობს სტუდენტების და/ან აკადემიური პერსონალის სწავლა-სწავლების მიზნით გარკვეული პერიოდით საზღვარგარეთის უნივერსიტეტში მოღვაწეობას, ან პირიქით- უცხოური უნივერსიტეტებიდან შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ დროებითი სასწავლო/სამუშაო გამოცდილების მიღებას. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტს“ აღნიშნული მექანიზმის განსახორციელებლად გააჩნია ორი ინსტრუმენტი:
    - აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გამავალი საერთაშორისო მობილობისთვის მასპინძელ უნივერსიტეტებთან ინტერინსტიტუციონალური ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მიერ გამოყოფილი თანადაფინანსება;

- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამავალი და შემომავალი საერთაშორისო მობილობისთვის ერასმუს + და სხვა შესაბამისი საგრანტო პროგრამის მიერ გამოყოფილი დაფინანსება;

- ✓ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განხორციელება;
- ✓ ადგილობრივ საგანმანათლებლო პროგრამებში ცალკეული საერთაშორისო მოდულების ინკორპორირება;
- ✓ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურით გამდიდრება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შეტანა;
- ✓ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში უცხოელი პროფესორების ჩართვა;
- ✓ სასწავლო კურსებში გამოყენებული უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა.
- ✓ შპს "ქუთაისის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამ(ებ)ის თანახელმძღვანელად უცხოელი პროფესორ(ებ)ის მოწვევა
- ✓ სწავლა-სწავლების მიმართულებით საერთაშორისო ხასიათის ინდივიდუალური საგრანტო კონკურსების შესახებ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სისტემატიური ინფორმირება;

II. ექსტრა-კურიკულარული აქტივობების ინტერნაციონალიზაცია

ექტრა-კურიკულარული აქტივობების ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" სტუდენტებისა და პერსონალის რეგულარულ სასწავლო თუ სამუშაო გეგმასა და პასუხისმგებლობებს მიღმა სხვა შესაძლო შემოქმედებითი, აკადემიური და პროფესიული აქტივობებისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას. მსგავსი საერთაშორისო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებით შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი" ზრუნავს სტუდენტების მომზადებაზე ადგილობრივი და საერთაშორისო სამუშაო ბაზრისთვის, ისევე როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ყველა მათგანის საერთაშორისო არაფორმალური და პროფესიული კონტაქტების ქსელის გაფართოებაზე.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტებისა და აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის ექსტრა-კურიკულარული აქტივობების ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება შემდეგი მექანიზმების გამოყენებით :

- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“, პარტნიორი უნივერსიტეტების ან საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული/თანადაფინანსებული ვირტუალური საერთაშორისო მობილობა, რაც გულისხმობს ფიზიკურად საზღვარგარეთ წასვლის გარეშე, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით, საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში მონაწილეობას. ვირტუალური მობილობის მაგალითებია ონლაინ სასერტიფიკატო კურსები, ტრენინგ კვირეულები, საზაფხულო სკოლები და ა.შ.
- ✓ ფიზიკური ექსტრა-კურიკულარული საერთაშორისო აკადემიური მობილობა, რაც გულისხმობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ტრენინგის გავლის ან სამუშაო კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გარკვეული პერიოდით საზღვარგარეთის უნივერსიტეტში მოღვაწეობას, ან პირიქით-უცხოური უნივერსიტეტებიდან შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ დროებითი გამოცდილების მიღებას. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტს“ აღნიშნული მექანიზმის განსახორციელებლად გააჩნია ორი ინსტრუმენტი:
    - მასპინძელ უნივერსიტეტებთან ინტერინსტიტუციონალური ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მიერ გამოყოფილი აკადემიური პერსონალის გამავალი საერთაშორისო მობილობის თანადაფინანსება;
    - ერასმუს+ და სხვა შესაბამისი საგრანტო პროგრამის ფარგლებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამავალი და შემომავალი საერთაშორისო მობილობისთვის გამოყოფილი დაფინანსება;
- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ დაფინანსებით ან თანადაფინანსებით უცხოელი პროფესორების, ტრენერების მოწვევა ექსტრაკურიკულარული საგანმანათლებლო და შემოქმედებითი აქტივობების გასაძღოლად, როგორიცაა

ვორქშოფები, ტრენინგები, სემინარები, საჯარო ლექციები სტუდენტებისა და ადგილობრივი პერსონალისთვის.

- ✓ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სტუდენტების ჩართვა კრედიტგარეშე საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებებში, მათ შორის საერთაშორისო საზაფხულო/ზამთრის სკოლებში, მოდელირებებში და ა.შ.;
- ✓ სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ სამუშაო პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის შესაძლებლობების შექმნა საერთაშორისო კვლევით თუ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ტრანსნაციონალურ კომპანიებთან მიზნობრივი მემორანდუმების გაფორმების გზით.
- ✓ ექსტრა-კურიკულარული აქტივობების მიმართულებით საერთაშორისო ხასიათის ინდივიდუალური საგრანტო კონკურსების შესახებ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სისტემატიური ინფორმირება;

III. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალისა და რიგ შემთხვევაში, წარმატებული სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას, სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებებს შორის კვლევის შედეგების გაზიარებას. საბოლოო ჯამში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია ემსახურება შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ კვლევის საერთაშორისო სტანდარტის უზრუნველყოფას, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდასა და კვლევითი რეპუტაციის ამაღლებას ადგილობრივ და გლობალურ დონეზე.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია მიიღწევა შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- ✓ ფიზიკური საერთაშორისო აკადემიური მობილობა, რაც გულისხმობს სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის მიერ კვლევის განხორციელების

მიზნით გარკვეული პერიოდით საზღვარგარეთის უნივერსიტეტში მოღვაწეობას, ან პირიქით- უცხოური უნივერსიტეტებიდან შპს „ქუთაისის უნივერსიტეტში“ მსგავსი გამოცდილების მიღებას. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტს“ აღნიშნული მექანიზმის განსახორციელებლად გააჩნია ორი ინსტრუმენტი:

1. მასპინძელ უნივერსიტეტებთან ინტერინსტიტუციონალური ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მიერ გამოყოფილი სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის გამავალი საერთაშორისო მობილობისთვის თანადაფინანსება;
2. აკადემიური და ადმინისტრაციული პეროსნალის გამავალი და შემომავალი საერთაშორისო მობილობისთვის ერასმუს+ და სხვა შესაბამისი საგრანტო პროგრამის ფარგელბში გამოყოფილი დაფინანსება;

- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განსახორციელებლად პარტნიორების მოძიებაზე ზრუნვა, კონსორციუმის შეკვრა, პროექტების მომზადება და დაფინანსების მოსაპოვებლად მათი ადგილობრივ და უცხროურ სამეცნიერო ფონდებში წარდგენა;
- ✓ სხვა ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის“ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში პარტნიორად ჩართვაზე ზრუნვა;
- ✓ საგრანტო პროექტების მიღმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება/თანა-ორგანიზება;
- ✓ სხვა ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტებისა და არასამათავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ბაზაზე საერთაშორისო დონეზე რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების შექმნა და განვითარება:

- ✓ ინდივიდუალური საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის, მათ შორის კვლევის თანაავტორობის ხელშეწყობის მიზნით უცხოელ მეცნიერებთან პროფესიული კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა;
- ✓ ინსტიტუტთაშორისი საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით უცხოურ კვლევით ინსტიტუტებთან და კვლევითი პროფილის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმება;
- ✓ ინდივიდუალური საერთაშორისო ხასიათის კვლევითი საგრანტო კონკურსების შესახებ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სისტემატიური ინფორმირება;
- ✓ მსხვილ სამეცნიერო საერთაშორისო ბაზებში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ინდივიდუალური რეგისტრაციის ხელშეწყობა სპეციალურად შექმნილი გზამკვლევის გაზიარებითა და კონსულტაციების უზრუნველყოფით;
- ✓ სტუდენტთა სადოქტორო ნაშრომების თანახელმძღვანელებად უცხოელი პროფესორების მოწვევა

მუხლი 3. ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების შესაფასებლად, შედეგების გასაზომად, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და საუკეთესო პრაქტიკების იდენტიფიცირების მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია შემდეგი მექანიზმები:

- ❑ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი - უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და მექანიზმების განხორციელება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმით. სამოქმედო გეგმა, თავის მხრივ, ექვემდებარება კვარტლურ და წლიურ მონიტორინგს, რომლის დროსაც ხდება საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მონიტორინგი მათი შესრულების

მაჩვენებელების/ინდიკატორებისა და გადამოწმების წყაროების მეშვეობით. აღნიშნული პროცესი დეტალურადაა რეგულირებული „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებით“. პროცესს კოორდინაციას უწევს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსახური.

- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - ყოველწლიურად ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საერთაშორისო აქტივობებით სტუდენტთა კმაყოფილების შეფასება, ასევე მათ შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის დონის დადგენა აღნიშნული მექანიზმები რეგულირებულია „ზოგადი კმაყოფილების კვლევის სახელმძღვანელო“ დოკუმენტით;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - ყოველწლიურად ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საერთაშორისო აქტივებებით აკადმიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების შეფასება, ასევე მათ შესახებ ცნობადობის დონის დადგენა. აღნიშნული მექანიზმები რეგულირებულია „ზოგადი კმაყოფილების კვლევის სახელმძღვანელო“ დოკუმენტით.
- სტუდენტის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება - სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე სტუდენტების მიერ მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს სტუდენტების მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის

ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით მიღებული ცოდნისა და გამოცდილების, სხვა ტიპის დადებითი შედეგების შეფასება. გამოკითხვა ასევე ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას. აღნიშნული მექანიზმები რეგულირებულია „ზოგადი კმაყოფილების კვლევის სახელმძღვანელო“ დოკუმენტით.

- პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება - პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება ხორციელდება პროგრამის მონაწილე პერსონალის მიერ მობილობიდან დაბრუნების შემდეგ. გამოკითხვის მიზანია მოხდეს პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გამგზავნი და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ გაწეული ორგანიზაციული საკითხებით კმაყოფილების, საერთაშორისო აკადემიურ მობილობის პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი ინტერესების, პროგრამაში მონაწილეობით კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების, სხვა ტიპის დადებითი შედეგების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროცესში გამოყენების შეფასება. გამოკითხვა ემსახურება მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას, გამგზავნ და მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დაფიქსირებას. აღნიშნული მექანიზმები რეგულირებულია "კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო" დოკუმენტით.